პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 31 იანვარი № 25 (17670) ფასი 2 კაპ.

ვასწავლოთ შრომა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა საქართველოს მუშების, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის, ყველა შრომელისადმი ხაზგასმულია რევოლუციური, საბრძოლო, შრომითი ტრადიციებით აღზრდილი ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის როლი როგორც დღევანდელ ამოცანათა გადაწყვეტაში, ასევე მომავლის შენებაში. როგორნი მივლენ ხვალ ქალაშვილები და ბაბუები სამეცნიერო ლაბორატორიებში, დაზგებთან, ტრაქტორის საჭესთან, ამას დღევანდელი დღე წყვეტს.

თუ როგორი მივა ახალგაზრდა ლაბორატორიაში, დაზგასთან, ტრაქტორის საჭესთან... ეს პრობლემა ცხოვრებისეულია და იგი ფრთობლივი რეფერენტით უნდა გადაჭრას სკოლამ და საწარმომ, მასწავლებელმა და დამრიგებელმა, კომკავშირმა და მთელმა საზოგადოებრიობამ. ჩვენს დროში იცვლება სახალხო განათლების სტრატეგია. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ვალდებულყო მუშა, ტექნიკოსი, ინჟინერი მუდამ იმაღლებდეს კვალიფიკაციას. წარმოების ყველა სფეროში შრომის პროცესი ერწყმის ქმრების სწავლას, გადამზადებას. ამან კი თავის მხრივ ახალი ფრთხოვნილებები წაუყენა სკოლას — შეეგიარაღოთ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქე არა მარტო ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებათა ღრმა ცოდნით, არამედ ამასთან ვასწავლოთ მას დამოუკიდებლად შეიძინოს ცოდნა, გამოვუმუშაოთ აზროვნების უნარი.

ეს დიდი ამოცანაა, მაგრამ არანაკლებ სერიოზულია ისიც, რომ ბავშვებს ახალგაზრდობის მომზადება მატერიალური წარმოების სფეროში შრომისათვის, პროფესიის საფუძვლიანი არჩევისათვის. ესე იგი მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ შრომა. ამიტომაც მეტი უურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა შრომითს აღზრდას, რა თქმა უნდა, იდეურ-პოლიტიკურ და ზნეობრივ აღზრდასთან ორგანული ერთიანობით.

ასეთი აღზრდის კარგი გამოცდილება შეიძინა ბევრმა სკოლამ. ამ მხრივ დიდაქალაქის 77-ე და 98-ე სკოლების მაგალითი მსახანძია. მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის კარგად წარმართვის შედეგები გამოვლინდა, მაგალითად, 1979 წლის საზაფხულო სამუშაოების დროს. 7.075 შრომითს გაერთიანებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 2.640 ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის 220 ათასი უფროსკლასელი, რომელთა ძალებით შესრულდა 37 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოები. ამას არა მარტო მატერიალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა. მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში დიდ როლს ასრულებს მის კომუნისტურ აღზრდასა და ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, პროფესიული ჩვევებისა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ფორმირებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა სტუდენტთა რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებების 1979 წლის ზაფხულის მუშაობის შედეგები და დასახა 1980 წლის ზაფხულის სამუშაოთა წარმატებით ორგანიზაციის ღონისძიებები.

მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით მათი დაინტერესების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ისიც, რომ თბილისის კიროვის რაიონის და ... -ე საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმები საგგმო დავალებათა წარმატებით შესრულებისა და მოსახლეობაში აქტიური კულტურულ-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ; ეს მაღალი ჯილდო ხვდათ ბერეთი სოხუმის რაიონის სოფელ ქვემო იაშთხვის პირველი და თბილისის 132-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებს ფ. კაკუბიასა და გ. მიქაძეს.

პიონერულ ბანაკ „არტეკში“ სტუმრობის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ბავშვებს უთხრა: „ყოველ თაობას თავისი წვლილი შეაქვს ისტორიაში და თქვენც უნდა ჩაწეროთ თქვენი ფურცლები ცხოვრობის ისტორიაში. დადგება დრო, როცა უფროსები თქვენ გადმოგცემენ სოციალური და მეცნიერული პროგრესის ესტაფეტას, რაც თქვენ იკისრებთ თქვენი ქვეყნისათვის, მშვიდობისათვის ზრუნვას“. ეს საბჭოთა სკოლის მთელი სააღმზრდელო მუშაობის პროგრამაა.

ცხადია, დამოუკიდებელი შრომისათვის მოუმზადებელ ახალგაზრდას არ ძალუძს იყოს ისეთი მოქალაქე, მომავლის ისეთი მშენებელი, როგორიც სამშობლოს სურს, როგორსაც ცხოვრება მოითხოვს. ამიტომაც შრომითი აღზრდისა და საპროფორიენტაციო მუშაობის შემდგომი სრულყოფა ჩვენი სკოლების, მათი შეფების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება. სწორედ ეს არის გათვალისწინებული, რომ მომავალ 1980-1981 სასწავლო წლიდან შრომითს სწავლებას სკოლებში ბევრად მეტი დრო დაეთმობა, ვიდრე ახლა ეთმობა, სკოლა მჭიდროდ უკავშირდება წარმოებას. სკოლებზე, მოსწავლეთა შრომითს აღზრდაზე ჯეროვან მზრუნველობას იჩენენ ჭუთაისის საწარმოები, თერჯოლისა და ზუგდიდის რაიონის მეურნეობები, თბილისის დმიტროვის სახელობის, ელმავალსაშენებელი, გაზაპარატის, ჩარხსაშენებელი ქარხნები. აღსანიშნავია კარგი ინიციატივა, რომელიც გამოიჩინა ელექტროსადენებელ დანადგართა და ელექტროგამშვები ქარხნების ადმინისტრაციამ. მათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეები უფასო კვებით უზრუნველყვეს.

ძაფის დართვა, ელექტრომონტაჟი, რადიომონტაჟი, ტელევიზორის შეკეთება, კინოგანათება, — ამ და 23 სხვა პროფესიის სპეციალობებს სწავლობენ თბილისის სასკოლათაშორისო საწარმოო კომბინატებსა და საამქროებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გასული სასწავლო წლისათვის მთელ რიგ სკოლებთან გასახსნელი სასწავლო-საწარმოო საამქროები და სასწავლო სახელოსნოები დღესაც არ არის გახსნილი. ეს არსებითად ხელს უშლის შრომითი სწავლების შემდგომ გაძლიერებას.

დიდი მოსწავლეთა შრომითს აღზრდაში არა მარტო სკოლის, არამედ ამასთან პიონერული, კომკავშირული ორგანიზაციების, ოჯახის როლი. თავიდანვე უნდა ვარჯვდეთ ბავშვებს შრომისადმი მოდრეკილებას, მის პატივისცემას, შრომით დაინტერესებას. შრომის სიყვარული ბავშვობიდან მოდის, მას დიდობაში ძნელად ვარჩევთ ადამიანს. დირექციასთან ერთად პიონერული, კომკავშირული ორგანიზაციების, მშობელთა კომიტეტების ბრალია, რომ გაპარტახებულია ეზო, მოუვლელია „საცდელი“ ნაკვეთი და ამდენი ტერიტორია. სად ხდება ეს? — დედაქალაქის 48-ე და 109-ე სკოლებში. როდისღა, თუ არა მოწაფეობის პერიოდში, უნდა ვასწავლოთ ადამიანს პასუხისმგებლობა თავისი სკოლის ავეჯისა და ეზოს ... ...

1980
24
თებერვალი
საბჭოების
არჩევნების
დღე

ერთსულოვნების ვითარებაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს:

ქალაქ თბილისის № 2 **კომკავშირის** საარჩევნო ოლქში — თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელექტროაპარატის“ ზეინკალი **მაყვალა კარისმანის ასული არჩვაძე,**

№ 7 **თბილისის** საარჩევნო ოლქში — თბილისის საოლქკომფინანსოს დეპუტატი მემანქანე **ნოდარ ვლადიმერის ძე კაკაბაძე,**

ქალაქ თბილისის № 9 **ედანოვის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი **გივი ალექსის ძე ანჩაბაძე,**

ქალაქ თბილისის № 21 **ვახუშტი ბაგრატიონის** საარჩევნო ოლქში ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ტროლეიბუსის მძღოლი **სულიკო იოსების ძე ჩოხელი,**

ქალაქ თბილისის № 28 **დიღმის** საარჩევნო ოლქში — „თბილისელექტროტექის“ ინსტიტუტის არქიტექტორი **ოთარ დიმიტრის ძე ალანდარიშვილი,**

ქალაქ თბილისის № 39 **გალაკტიონ ტაბიძის** საარჩევნო ოლქში — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ნეფედავი,**

ქალაქ თბილისის № 29 **ოქტომბრის** საარჩევნო ოლქში — თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი **ნუნუ ბიჭიკოს ასული ლორია,**

ქალაქ თბილისის № 47 **ბარათაშვილის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი **ანა გიორგის ასული ლომიძე,**

ქალაქ თბილისის № 62 **კოლხეთის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგობის მდივანი **იოსებ ელიოზის ძე ნონაშვილი,**

ქალაქ თბილისის № 61 **გაგარინის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი **არჩილ ამბროსის ძე ძიძიგური,**

ქალაქ თბილისის № 73 **მახათის** საარჩევნო ოლქში — თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის გამგე **უჩა მალაქიას ძე ჯაფარიძე,**

ქალაქ თბილისის № 77 **26 კომისრის** საარჩევნო ოლქში — საწარმოო გაერთიანების „საქელექტრომანქანის“ თბილისის ქარხანა „მიკროძრავის“ მუშა **ზეინაბ დიმიტრის ასული ჩერქეზიშვილი,**

ქალაქ თბილისის № 85 **ახალი კონსტიტუციის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **რამაზ ანატოლის ძე გოგლიძე,**

ქალაქ თბილისის № 86 **მშენებელთა** საარჩევნო ოლქში — თბილისის № 1 სახლთსაშენებელი კომბინატის მემონტაჟე **ჯუმბერ ფილიმონის ძე კაპანაძე,**

ქალაქ თბილისის № 59 **ფალიაშვილის** საარჩევნო ოლქში — გაზეთ „ზარია ვოსტოკის“ რედაქტორი **ნიკოლოზ გიორგის ძე ჩერქეზიშვილი,**

ქალაქ სოხუმის № 365 **ორჯონიკიძის** საარჩევნო ოლქში — სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშა **ლარისა მიქატაძის ასული ოტარბა,**

გუდაუთის რაიონის № 376 **ბარმიშის** საარჩევნო ოლქში — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი **მანანა ქიშვარდის ასული მაისაშვილი,**

გუდაუთის რაიონის № 380 **ახალი ათონის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ოთარ ივანიხის ძე ჩერქეზია,**

გუდაუთის რაიონის № 379 **აჭანდარის** საარჩევნო ოლქში — სოფელ ყოლანურზეის 4 მარტის სახელობის კოლმეურნეობის წევრი **ლუდმილა ფშკანის ასული ესავა,**

№ 378 **გუდაუთის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე,**

ქალაქ გაგრის ზონის № 374 **ბზიფის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგობის პირველი მდივანი **ილლარ ნიკოლოზის ძე შენგელაია,**

ქალაქ გაგრის ზონის № 373 **განთიადის** საარჩევნო ოლქში — განთიადის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშა **ოლღა სერგის ასული ბოგომაზოვა,**

ქობულეთის რაიონის № 414 **ხუცუბნის** საარჩევნო ოლქში — სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიე **ნინო მურადის ასული მეგავანაძე,**

ხელვაჩაურის რაიონის № 418 **მახინჯაურის** საარჩევნო ოლქში— დაბა მახინჯაურის კოლმეურნეობის მეჩაიე **ეთერ ზეკერიას ასული მამულაძე,**

№ 426 **შუახევის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **იოსებ ნიკოლოზის ძე ორჯონიკიძე,**

ქალაქ ცხინვალის № 431 **კარლ მარქსის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ბაგრატ ბესარიონის ძე ტეხოვი,**

ხაშურის რაიონის № 129 **ალის** საარჩევნო ოლქში — ცოცხნარის საბჭოთა მეურნეობის მწვანილი **თინა ნიკოლოზის ასული ლაბაძე,**

№ 162 **ბოლნისის** საარჩევნო ოლქში — სამრეწველო-საწარმოო გაერთიანების „სამტრესტის“ უფროსი **გურამ ივანეს ძე ლოლაძე.**

ქალაქ გორის № 116 **ლენინის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზურაბ ამბროსის ძე ჩხეიძე,**

საჩხერის რაიონის № 251 **კოჩრბოულის** საარჩევნო ოლქში — საჩხერის მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოო გაერთიანების მუშა **თამარ ნიკოლოზის ასული ნოზაძე,**

ქალაქ ბათუმის № 403 **სტალინის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე **ვალერი მიხეილის ძე ხინთბა,**

ბოგდანოვკის რაიონის № 149 **განძანის** საარჩევნო ოლქში — სოფელ ხოჯაბეკის კოლმეურნეობის მექანიზატორი **მაქსიმე შარვაშის ძე არზუმანიანი,**

ქალაქ ჭიათურის № 247 **კაცხის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თამაზ ალექსანდრეს ძე მარგველაშვილი,**

ქალაქ ქუთაისის № 266 **წულუკიძის** საარჩევნო ოლქში — ქუთაისის კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მკერავი **ლიანა იონის ასული სვანაძე.**

გორის რაიონის № 114 **ატენის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ოთარ ვასილის ძე თაქთაქიშვილი,**

დუშეთის რაიონის № 189 **ფასანაურის** საარჩევნო ოლქში — სოფელ გუდამაყრის კოლმეურნეობის მწყემსი **გრიგოლ გაბრიელის ძე წიკლაური.**

მარნეულის რაიონის № 174 **სადახლოს** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი **ლევან ლევანის ძე შარაშენიძე,**

თერჯოლის რაიონის № 253 **ჩხარის** საარჩევნო ოლქში — სოფელ ძევრის კოლმეურნეობა **ლამარა პროკოფის ასული აბულაძე,**

სამტრედიის რაიონის № 293 **ენგელსის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგობის მდივანი **ლანა ლევანის ასული ღოლობერიძე,**

ქარელის რაიონის № 124 **კეხიჭრის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი,**

წალენჯიხის რაიონის № 341 **ჭგალის** საარჩევნო ოლქში — სოფელ მიქავას უტუ მიქავას სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ლიმერი ერმინის ასული კვარაცხელია,**

წულუკიძის რაიონის № 291 **მათხოჯის** საარჩევნო ოლქში — რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე,**

გარდაბნის რაიონის № 95 **სართიჭალის** საარჩევნო ოლქში — სართიჭალის მეცხოველეობის კომბინატის მექანიზატორი **გოდერძი პაღლეს ძე კუდალადაშვილი,**

ახალქალაქის რაიონის № 145 **ვანიანის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ ვალერიანეს ძე მელქაძე,**

ვანის რაიონის № 301 **შუამთის** საარჩევნო ოლქში — ვანის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ანიკო კალისტრატეს ასული ბახტაძე.**

ზესტაფონის რაიონის № 236 **გორკის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს მხატვართა კავშირის გამგობის თავმჯდომარე **ნოდარ შალვას ძე ჯანბერიძე,**

ხოლოს რაიონის № 430 **დიოკნისის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მეთამაშეური **მერი ომერის ასული გელაძე,**

ჯავის რაიონის № 105 **ქვემო ჭალის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველი მდივანი **ვაჟა რომანის ძე კვალიაშვილი,**

ქალაქ ქუთაისის № 268 **გელათის** საარჩევნო ოლქში — ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრანქტორების ქარხნის მუშა **მურთაზ შოთას ძე გრძელიძე,**

ქობულეთის რაიონის № 416 **ჩაქვის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **შოთა მათეს ძე ეცადაშვილი,**

წალენჯიხის რაიონის № 342 **ჯვრის** საარჩევნო ოლქში — ენგურჰესის მშენებლობის მუშა **კუკური შალიკოს ძე აკობია,**

ქარელის რაიონის № 122 **აგარის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს შაქრის კომბინატის მუშა **გენადი ნიკოლოზის ძე მიშელაშვილი,**

ქალაქ ჭიათურის № 244 **ნიგოზეთის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგობის მდივანი **ჯანსუღ ავდიდის ძე ჩარკვიანი,**

სამტრედიის რაიონის № 296 **დიდი ჯიხაიშის** საარჩევნო ოლქში — სოფელ დიდი ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი **თამარ ივანეს ასული ვაშაკიძე,**

საჩხერის რაიონის № 249 **საირხის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი **ელგუჯა ბენიამინის ძე ჩიხლაძე,**

ზნაურის რაიონის № 438 **ავნევის** საარჩევნო ოლქში — სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ჰენრიხ ირაკლის ძე მარდანოვი,**

ხაშურის რაიონის № 128 **ქვიშხეთის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **დავით ალექსანდრეს ძე პერტენავა,**

ქალაქ ტყიბულის ზონის № 280 **ორპირის** საარჩევნო ოლქში — სოფელ ოჯოლის კოლმეურნეობის მეჩაიე **მარგარიტა შაქროს ასული ლოსაბერიძე,**

ქალაქ რუსთავის № 176 **ქიმიკოსთა** საარჩევნო ოლქში — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კორდის გრეხის საამქროს მგრეხელი **ლამზირა ბიკენტის ასული კერესელიძე,**

აბაშის რაიონის № 320 **ძველი აბაშის** საარჩევნო ოლქში — ალმანახ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი **კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე,**

ქობულეთის რაიონის № 288 **ორბელის** საარჩევნო ოლქში — სოფელ ლაჯანის კოლმეურნეობის წევრი **ვლადიმერ იასონის ძე ჩაჩხიანი,**

ლაგოდეხის რაიონის № 217 **ლელიანის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი **თენგიზ იოსების ძე ხელაშვილი,**

ახმეტის რაიონის № 229 **მატანის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი **ვაჟა ლევანის ძე ბატიაშვილი,**

№ 307 **ლანჩხუთის** საარჩევნო ოლქში — ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ნონა გივის ასული ჩხარტიშვილი,**

№ 219 **ყვარლის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი **რობერტ გიორგის ძე ურჯუმელაშვილი,**

გურჯაანის რაიონის № 197 **ვეჯნის** საარჩევნო ოლქში — გურჯაანის მეენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **მერი სიკოს ასული ნიკოლაშვილი,**

მახარაძის რაიონის № 312 **მეორე** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **დემურ ნოეს ძე დვალიშვილი,**

ხობის რაიონის № 327 **საჯიჯოს** საარჩევნო ოლქში — სოფელ ახალხიბულოს კირთვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე **ფატმან პართენის ასული კაკაშვილი,**

სიღნაღის რაიონის № 207 **წნორის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი **ნოდარ ხამონის ძე ბუჩუკური,**

წითელწყაროს რაიონის № 209 **არბოშიკის** საარჩევნო ოლქში — სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სარქაფელი **ამირან იოსების ძე ალადაშვილი,**

თელავის რაიონის № 225 **კურდღელაურის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი **ალექსანდრე ვიქტორის ძე კობაიძე,**

თელავის რაიონის № 223 **პირველი მაისის** საარჩევნო ოლქში— თელავის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშა **ნუნუ იოსების ასული ფარადაშვილი,**

ცხინვალის რაიონის № 324 **ნოსირის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ცხინვალის რაიკომის პირველი მდივანი **ვახტანგ პართენის ძე ეხვაჩია,**

ჩოხატაურის რაიონის № 306 **ბუკისციხის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი **გიორგი ილარიონის ძე კალანდარიშვილი.**

სოფელ შილდის კოლმეურნეობის კოლმეურნე **ესმა ონანიმეს ასული მირიანაშვილი** რეგისტრაციაში გაატარეს ყვარლის რაიონის № 221 **შილდის** საარჩევნო ოლქში.

ლანჩხუთის რაიონის № 309 **ლეხის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **ომარ გიორგის ძე ვარძელაშვილი.**

სოფელ არაშენდის კოლმეურნეობის მევენახეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი **ნინო ნიკოლოზის ასული ბოსტოლანაშვილი** რეგისტრაციაშია გატარებული გურჯაანის რაიონის **კაჭრეთის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი **მიშიკო ივანეს ძე შინჯიკაშვილი** რეგისტრაციაში გაატარეს გურჯაანის რაიონის № 194 **შაშაანის** საარჩევნო ოლქში.

ნარეკვლის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ზაირა ილიას ასული გოგითაური** რეგისტრაციაში გაატარეს მახარაძის რაიონის № 313 **მერიის** საარჩევნო ოლქში.

მახარაძის რაიონის № 317 **ნატანების** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **ალექსანდრე დიმიტრის ძე ალექსიძე.**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **ოთარ დანიელის ძე ქინქლაძე** რეგისტრაციაში გაატარეს სიღნაღის რაიონის № 205 **ანაგის** საარჩევნო ოლქში.

სიღნაღის № 208 **ტიბაანის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს სოფელ ჯოჯანის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი **ნოდარ სულხანის ძე ალადაშვილი.**

გაზეთ „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში **გიორგი ივანეს ძე ლებანიძე** რეგისტრაციაში გაატარეს № 322 **ცხაკაიას** საარჩევნო ოლქში.

ცხაკაიას ხალიჩის კომბინატის მჭსოველი **კლარა ვლადიმერის ასული ლაბარტყავა** რეგისტრაციაში გაატარეს ცხაკაიას რაიონის № 323 **მშვიდობის** საარჩევნო ოლქში.

№ 304 **ჩოხატაურის** საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გატარებული საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **ვლადიმერ ილიას ძე კობახიძე.**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **გურამ ივანეს ძე გვეტაძე** რეგისტრაციაში გაატარეს თელავის რაიონის № 227 **ნაფარეულის** საარჩევნო ოლქში.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ფიულიენ არჩილის ძე ყარაულაშვილი** რეგისტრაციაში გაატარეს წითელწყაროს რაიონის № 212 **ზემო ქედის** საარჩევნო ოლქში.

ნატახტრის მეგბოსტნეობის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის მუშა **მერი გიორგის ასული ოქროპირიძე** რეგისტრაციაში გაატარეს მცხეთის რაიონის № 101 **წილკნის** საარჩევნო ოლქში. (საქინფორმი).

აქტიურობენ თბილისის კალინინის რაიონის № 40 საარჩევნო ოლქის № 5 საარჩევნო უბნის აგიტატორები. ისინი ყოველდღიურად დადიან თავიანთ საარჩევნო უბნებში და ადგილებზე ეხმაურებიან ამომრჩევლებს.

სურათებზე: ზემოთ — მოწონავე აგიტატორები გ. ბრომელი, დ. ლედია, ს. წიქორიძე; ქვემოთ — ამავე საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე ლ. ურდია (ცენტრში) აგიტატორებთან და აქტივისტებთან აზუსტებს ამომრჩეველთა სიებს.

ჯ. აბრამიძის ფოტო.

ქიმიკოსთა დიდი ბჭობა

29 იანვარს თბილისში მეექვსე ყოველიერთა კონფერენცია „ქიმიკოსი-კანდიდატობანგუობა დაიწყო „ქიმიკოსი-დორანგუ- ... ...

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის

ჩვენ გვჭირდება ასეთი ძეგლები...

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცენტრალურ მუზეუმს ახალი რელიკვია შეემატა — მოსკოველი მეჩანდაკის ბ. სანდომირსკაიას მიერ 1918 წელს შესრულებული რევოლუციის ბელადის ბარელიეფური პორტრეტი.

სპილოს ძვლის ფირფიტაზე ყველასთვის ახლობელი სახის ნაკვთებია! სხივოსანი თვალები, ბავშვური ღიმილი, ამავე დროს დაფიქრებული, მტკიცე გამოხედვა და საოცარი დაღლილობის კვალი. მძიმე ჭრილობის შემდეგ მხოლოდ სამი თვეა გასული. ასეთი აღიქვა ვლადიმერ ილიას ძე არქიტექტურის, ქანდაკებისა და სახვითი ხელოვნების ინსტიტუტის წარჩინებულმა სტუდენტმა გოგონამ ბეატრისა სანდომირსკაიამ,

როცა ბელადი კრემლში, თავის კაბინეტში მასთან დიდხანს საუბრობდა, სანდომირსკაია შინ რომ დაბრუნებულა, სანუკვარი სახის ნაკვთები ქაღალდზე გადაუტანია...

იყო 1918 წლის ოქტომბერი — რევოლუციის გრგვინვის დიდებული სიმფონია მთელ მსოფლიოს მოეფო. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა თავისი დაბადების წლისთავს ზეიმობდა. ენთუზიაზმით და სიხარულით ხვიდებოდა მოსკოვი მუშებისა და გლეხების დღესასწაულს.

ალოსფერმა დროშებმა და ტრანსპარანტებმა მეტი სინათლე შემატა ქალაქს. იმ დღეებში გაზეთები წერდნენ, რომ მოსკოვის ცენტრალურ მოედნებზე და პარკებში გაიხსნებოდა იმათი ძეგლები, ვისი სახელები და საგმირო საქმეები ადამიანობის სიამაყე იყო. ჭრაქის სინათლეზე ასობით მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი და გრაფიკოსი მუშაობდა, რომ დროზე შეესრულებინათ საბჭოთა მთავრობის სპპარეო დავალება. მართლაც რამდენიმე კვირის განმავლობაში შექმნეს ნაწარმოებები, რომლებსაც უნდა დამშვენებინა მოსკოვის ქუჩები და მოეფინა.

„დაე, ყოველი ძეგლის გახსნა, — ამბობდა ვლადიმერ ილიას ძე, — გადაიქცეს პროპაგანდის აქტად და პატარა დღესასწაულად“.

ასეთი დღესასწაული მოსკოველებისათვის, დაუვიწყარი თავისი რევოლუციური პათოსით და მასშტაბებით, თაფლო 1918 წლის 3 ნოემბერს. ამ დღეს მოეწყო მიტინგები ალექსი კოლოცოვის, ივანე ნიკიტინის, ტარას შევჩენკოს მონუმენტებთან. ათასობით მოსკოველმა მოიყარა თავი კრემლის კედელთან, ალექსანდროვის ბაღში, სადაც ამაყად გამოიყურებოდა რობესპიერის დიდებული ფიგურა. „ჩემთვის, — იგონებს ქანდაკების ავტორი ბ. სანდომირსკაია, — ეს პირველი მონუმენტური ნამუშევარი იყო — საფრანგეთის რევოლუციის ჰიმნი „მარსელიეზა“.

თავისი დიდი თანამემამულის ძეგლთან მაზნებარე სიტყვა წარმოთქვა ფრანგმა ოფიცერმა ეკე სადოლმა. მოგვიანებით იგი წითელი არმიის რიგებში მოხალისედ ჩადგა და აქტიურად იბრძოდა სისხლიანი ანტანტის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა ჟ. სადოლის 1918 წელს დაბეჭდილ ბროშურას „გაუმარჯოს საბჭოების რესპუბლიკას!“

მიტინგს დაესწრო გამოჩენილი რუსი მეცნიერი კ. ტიმირიაზევი. საერთო საზეიმო განწყობილებამ და დიდებულმა სანახაობამ იმოქმედა კაცობრიობის ბედზე. ეს ამბავი ადასტურებს, რომ მეორე დღეს დაწერა პროლეტარიატის ინტერნაციონალური მაზნებარებით აღსავსე პუბლიცისტური სტატია „მოფსიდიდელის“ ძეგლთან.

საფრანგეთის რევოლუციის ბელადის ძეგლი მოეწონა ლენინს. მისი ყურადღება მიიპყრო რობესპიერის ფიგურაში შერწყმულმა გმირულმა შემართებამ, აზრმა და გამბედაობამ. „აი, ეს მონუმენტი ჩვენია, — თქვა ლენინმა, — ჩვენ გვჭირდება ასეთი ძეგლები“...

გაზეთი „პრავდა“ 6 ნოემბერს წერდა: გუშინ, გვიან ღამით, ბოროტმოქმედებმა დაანგრიეს რობესპიერის ძეგლი, რომელიც ალექსანდროვის ბაღში იყო აღმართული, ძეგლმა დაადგინა. მონუმენტი თეთრგვარდიელებმა ბომბით აფეთქესო. ძეგლის ავტორს ბ. სანდომირსკაიას კი მუქარით სავსე წერილი გაუგზავნეს, ემუქრებოდნენ, ბოძზე ჩამოკიდებ!

ანონიმური წერილები ახალგაზრდა მხატვარმა სანდომირსკაიამ ა. ლუნაჩარსკის უჩვენა. განათლების კომისარმა მაშინვე ტელეფონით შეატყობინა ვლადიმერ ილიას ძეს, როგორ დევნიდნენ თეთრგვარდიელები ნიჭიერ სტუდენტ ქალიშვილს.

ლენინს იმ დღეებში არ ეცალა სამხედრო და სამეურნეო საქმეების გამო, მაგრამ მაინც გამონახა დრო, სანდომირსკაია თავის კაბინეტში მიიღო, მამაშვილურად დაუყვავა, მოეფერა და დამშვიდა.

„ვლადიმერ ილიას ძემ, — იგონებს მხატვარი, — ღიმილით შემთვალიერა და მკითხა — რამდენი წლისა ხარ? — დარცხვენილმა ვუპასუხე: — ჯერ სრულიად ახალგაზრდა ვარ. — რაო, გეთაყვა, შეგაშინეს თეთრგვარდიელებმა? — თვალებში საოცარი სხივი ჩაუდგა, ჯიუტად და ჯიქურ წამოდგა, მთელი მისი ფიგურა შეიერყვიალო რწმენას გამოხატავდა. მითხრა: ნუ ღელავთ, ნუ გეშინოთ, ვერაფერს დაგიშავებენ, ქალაუფლება სამუდამოდ არის ჩვენს ხელში!“...

ჩვენ წინაშეა ბარელიეფი, პორტრეტის ნაკვთები არაჩვეულებრივი სითბოთია სავსე. ასეთი დაახსომდა სანდომირსკაიას ვლადიმერ ილიას ძე ლენინი მთელი ცხოვრების მანძილზე...

დ. მაჭავარიანი,

„კომუნისტის“ სკკ. კორ.

ქ. მოსკოვი.

● ●

ეცნობიან ბელადის ცხოვრებას

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი ლენინის იდეათა პროპაგანდის დიდი კერაა. მის ჩვიდმეტ დარბაზში დამთვალიერებლები ეცნობიან მუშათა კლასის დიდი ბელადის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

შარშან მუზეუმი 229.513 კაცმა დაათვალიერა. აქ იყვნენ პარტიის veტერანები, ახალგაზრდა კომუნისტები, პროპაგანდისტები და აგიტატორები, მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა არმიის მეომრები, სტუდენტები, მოსწავლეები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები.

1979 წლის მეორე ნახევარში შეძენილი ექსპონატებიდან და ხელნაწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლენინის პირველი ბიუსტი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შვიდი თვის თავზე, 1921 წლის 21 სექტემბერს დაიდგა გრიბოედოვისა და სარაჯიშვილის ქუჩების შესაყართან, პატარა მოედანზე. იგი საზეიმოდ გაიხსნა ამ დღეს. მონუმენტ-ბიუსტის ავტორი იყო ვ. ა. სერგეევი. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის ამსახველი კინოფირი შემთხვევით იპოვეს ცენტრალური სახელმწიფო არქივის კინოფოტოდოკუმენტებს შორის. კადრშია ლენინის სკულპტურა. მონუმენტის გვერდით დგანან საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და რკკ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მდივანი ი. პ. ფიგატნერი.

დღეს ზემოაღნიშნული ბიუსტის მაკეტის ასლი ამშვენებს მუზეუმის ერთ-ერთ ცენტრალურ დარბაზს — ლენინიანას. მაკეტის ავტორია ლამარა ნიკოლოზის ასული ქველიძე — საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი.

მუზეუმის ახალ ექსპონატთა შორის არის მოკრძალებული ლენინაიას ეტიუდი, ... 1905 წელს ... „ნოვაია ჟიზნ“ (ცენტრალური კომიტეტის გაზეთი „რაბოჩი“), 1906 წელს — „ვპერიოდი“ (ბოლშევიკური ... ცენტრალური კომიტეტის ... ბოლშევიკური ... ბოლშევიკური ... ბოლშევიკური

ხელოვნების ამბები

ქართული ფილმების საღამოები იენაში

იენის (გდრ) უნივერსიტეტში კარგა ხანია არსებობს კინოკლუბი, რომელიც კინოხელოვნებით დაინტერესებულ სტუდენტობას აერთიანებს. კინოკლუბი ყოველ ხუთშაბათს უჩვენებს განსაკუთრებით საინტერესო, ცნობილ ფილმებს, აწყობს რეტროსპექტულ ჩვენებას, კინოსურათების განხილვას, დისკუსიებს ხელოვნების ამ დარგის სხვადასხვა საკითხზე. სტუდენტები კითხულობენ ლექციებ-მოხსენებებს, დამსწრეთ ესაუბრებიან ამა თუ იმ რეჟისორისა და მსახიობის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ ქალაქში მოსწავლე ქართველი სტუდენტების თაოსნობით ამას წინათ ზედიზედ სამი ხუთშაბათი დაეთმო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოებებს — ხალხმრავალმა აუდიტორიამ ნახა ო. იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“, გ. შენგელაიას „ფიორომანი“ და თ. აბულაძის „ნატვრის ხე“.

ყოველ ფილმს წინ უძღოდა არა მარტო მოკლე განმარტებანი მათს შესახებ, არამედ ქართული კინემატოგრაფიისადმი, ქართველი კინორეჟისორების შემოქმედებისადმი მიძღვნილი ვრცელი მიმოხილვაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ქართველ რეჟისორს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მაყურებელი შესანიშნავად მცნობს.

მოხსენებათა ავტორები იყვნენ იენის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი დ. ხეჩინაშვილი, ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი დ. კაკაბაძე და ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტი ს. ჩხეიშვილი.

ფილმების ჩვენების შემდეგ გამართულ დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სხვა ქართველმა სტუდენტებმაც: მ. ბარამიძემ, გ. ჩხეიძემ, ნ. ფირცხალავამ, მ. პაიჭაძემ, მ. ჭარხალაშვილმა, ა. როინიშვილმა, მ. ფანჯიკიძემ, თ. აღლურაძემ.

მ. გიგაური.

კლასიკური მუსიკის ჰანგები

დარბაზში ძველი კლასიკური მუსიკის ჰანგები იღვრება, სცენაზე კი მოწყობით იკავებენ ადგილებს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპისათვის შესაფერის კოსტიუმებში ვამოწყობილი პატარა „ქალბატონები და ბატონები“. ასე დაიწყო სპექტაკლი-კონცერტი „ძველი კლასიკური მუსიკის საღამო“, რომელიც მსმენელთ ამას წინათ შესთავაზეს დიდაქალაქის ორკონიკიძის რაიონის საშუალო სკოლებთან არსებული სამუსიკო სტუდიების მოსწავლეებმა.

შემდეგ დიქტორი მიმოიხილავს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის მუსიკალურ სამყაროს, მსმენელთ აცნობს მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. ხხვადასხვა ეპანის წარმოშობა-განვითარებას, სცენიდან კი ისმის ბოკერინის, ქერუბინის, ციპოლის, ჰენდელის, ბახის, გლუკის, კუპერენის, სკარლატის, ლიულის, ალეგრიდის და რამოს საფორტეპიანო, საორკესტრო და ვოკალური ნაწარმოებები ნორჩი მუსიკოსების შესრულებით, რომელთაც დროდადრო ქორეოგრაფიული ნომრები ავლილა.

საღამოზე შესრულების კარგი მანერითა და გემოვნებით გამორჩეოდნენ მე-60 საშუალო სკოლის სამუსიკო სტუდიის მოსწავლეები თ. აჩბა, ნ. გარიკოიძე, ნ. ჩიქვინაძე, ნ. ბალხამიშვილი, ნ. ჩხეიძე, მოწონება ხვდა 128-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს ვ. ბანდიკიანსა და ტ. ჩუბინიძეს, რომლებმაც შეასრულეს გრაციოლისა და პერგოლეზის ნაწარმოებები.

კონცერტის დამდგმელისა და მხატვრული ხელმძღვანელის ს. დავითოლიანის მიერ სპანტერეოსოდ გაკაზრებულმა საღამომ ჭეშმარიტად დიდი სიამოვნება მიანიჭა ყმაწვილებს.

საღამო-კონცერტის მთელი შემოსავალი გადაირიცხა მშვიდობის ფონდში.

რ. მუხაძე.

ოლიმპიურ ტალღაზე

გეზი ლეიკ-პლესიდისაკენ

გუშინ უძველეს ოლიმპიაში დაანთეს ციცხლი ლეიკ-პლესიდის თერმი ოლიმპიადისათვის. საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მორბენლებმა ოლიმპიური ჩირაღდანი ჯერ სოფელ პოლანოსამდე, აქედან კი ავტომანქანით ადგილობრივ ეროდორომამდე მიიტანეს. დღისით ათენის ცენტრალურ სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდანი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის საზეიმო ვითარებაში გადაეცა. ამერიკელები ჩირაღდანს ლეიკ-პლესიდში ჩაიტანენ.

რიკარდო იბარა — მთავარი იმედი

მოსკოვის ოლიმპიადაზე არგენტინა 100-მდე სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი. ამ ქვეყნის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ არგენტინელები აპირებენ იისპარეზონ ცურვაში, ნიჩბოსნობაში, ფარიკაობაში, კრივში, ძიუდოში და სპორტის სხვა სახეობებში. ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს ბალახის ჰოკეის ნაკრები, რომელმაც ეს უფლება შერჩევითს ტურნირში მოიპოვა. ასეთივე წარმატების იმედი აქვთ ფიზხორთელებს, რომლებიც ოლიმპიადის სგზურისათვის იბრძვიან კოლუმბიაში მიმდინარე სამხრეთამერიკული გუნდების ოლიმპიადაზეწინა ასპარეზობაში. მარტ-აპრილში გაიმართება ქვეყნის ჩემპიონატი ფარიკაობაში და ამის მერე შეირჩევა ოლიმპიადის 17 კანდიდატი.

გაზეთი „კრონიკა“ იუწყება, რომ არგენტინელი სპორტის მოყვარულები ყველაზე დიდ იმედებს ამყარებენ ნიჩბოსან რიკარდო იბარაზე. ისინი ამ „მთავარი იმედისგან“ მედალს ელიან.

აირჩიეს პრეზიდენტი

ნიკარაგუის სპორტული ფედერაციების ეროვნულმა ასამბლეამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად აირჩია ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების მთავრობის ხელმძღვანელი სანჭოს წევრი მ. ხასანი. ხასანმა განაცხადა, რომ ნიკარაგუელი სპორტსმენები აქტიურად ემზადებიან მოსკოვის ოლიმპიადისათვის.

რონო, მაინუ, ბოიტა და... სხვანი

კენიელებს მოსკოვის ოლიმპიადაზე წარმატების დიდი იმედი აქვთ. კენის სპორტი სამეთა მინისტრმა რობერტ ოუოკომ განაცხადა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან შედეგებს ისინი მძლეოსნებისაგან მოელიან. და მართლაც, საკმარისია დავასახელოთ ჰენრი რონო და ჯონ მაინუ. პირველი მსოფლიოს ოთხი მიღწევის ავტორია, ხოლო მეორემ 800 მეტრზე რბენაში ახლახან მსოფლიოში სუბრონის მესამე შედეგი აჩვენა, წარმატების შანსი აქვს საშუალო მანძილზე რბენაში გამოცდილ მძლეოსანს მაიკლ ბოიტას. აღსანიშნავია, რომ შვიდმა კენიელმა სპორტსმენმა 800 მეტრზე რბენაში ოლიმპიურ ნორმატივებზე უკეთესი შედეგები აჩვენა და, ცხადია, მოსკოვის ოლიმპიადაზე გამგზავრებაზე შვიდივე აცხადებს პრეტენზიას. კენიელ მძლეოსნებს ურიგო შედეგები არ აქვთ 3000 მეტრზე წინაღობათა გადალახვით რბენაშიც.

● ●

სატურნირო ორბიტა

კრივი. გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების შეხვედრა. მატჩი დამთავრდა საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით — 5:4. საქართველოს მოკრივეთაგან ჩვენს გუნდს მომგებიანი ქულები შესძინეს ა. ხიზანიშვილმა, რ. ჩირიკბაიამ და დ. კვაჭაძემ.

ფარიკაობა. იტალიის ქალაქ ვერჩელში დამთავრდა დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო გუნდური ტურნირი „ბერტინეტის“ პრიზზე. პირველობა დაისაკუთრეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ შვეიკარიელები, მესამეზე — იტალიელები.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი

თუ პენსიონერი მუშაობს

ამა წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მომუშავე მოხუცებულობის გამო პენსიონერებზე პენსიების გაცემის ახალი წესი. ამ მონაცემებთან დაკავშირებით ასეთ პირებს „უნდა“ შეეცალოთ „დავალება მოხუცებულობის გამო პენსიონერებისათვის“ (ფორმა № 25), რომლის საფუძველზეც პენსია სამუშაო ადგილზე მიეცემათ. აღნიშნული კატეგორიის პენსიონერებმა ამ საკითხზე უნდა მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის იმ ორგანოებს, რომლებმაც წინა დავალების ფურცლები გასცეს.

საქართველოს პროფსაბჭო.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო

საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ იუწყება

იმ მიზნით, რომ რესპუბლიკაში უზრუნველყოფილ იქნეს გაზომვათა ერთიანობა და სიზუსტე თანახმად სახელმწიფო სტანდარტის 8.002-71 მოთხოვნისა, საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულმა ყველა ორგანიზაციამ, სამრეწველო, სატრანსპორტო და სავაჭრო საწარმოებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, სამკურნალო დაწესებულებებმა საბჭოთა მეურნეობებმა და სახალხო მეურნეობის სხვა ობიექტებმა, რომლებსაც საექსპლოატაციოდ და შესანახად აქვთ საზომი და საცდელი საშუალებები, უნდა წარმოადგინონ ისინი სავალდებულო სახელმწიფო შემოწმებისათვის.

საზომი საშუალებების სახელმწიფო შემოწმება ხდება სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს ლაბორატორიებსა და მათ დროებითს განყოფილებებში.

საზომი საშუალებები სახელმწიფო შემოწმებისათვის უნდა წარმოადგინოთ სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში და მის ტერიტორიულ ორგანოებში სახელმწიფო შემოწმების გრაფიკების შეთანხმებული ადგილის შესაბამისად.

საზომ საშუალებათა სახელმწიფო შემოწმების სამუშაოები მოიწყობა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების დროებითს განყოფილებებში ქვემოთ ნაჩვენები ადგილის მიხედვით, რომლებიც სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა უწყებრივი და არაუწყებრივი სარეგისტრო ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის.

რესპუბლიკის სტანდარტებისა და საზომი ტექნიკისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორია

1. თბილისი წლის განმავლობაში
2. მცხეთის რ-ნი II კვარტალი
3. დუშეთის რ-ნი II კვარტალი
4. თიანეთის რ-ნი III კვარტალი
5. ყაზბეგის რ-ნი III კვარტალი

აფხაზეთის ატანდარტებისა და საზომი ტექნიკისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორია

1. ქ. სოხუმი I-II კვარტალი
2. სოხუმის რ-ნი I კვარტალი
3. გულრიფშის რ-ნი I-II კვარტალი
4. გაგრის რ-ნი II-III კვარტალი
5. გუდაუთის რ-ნი II-III კვარტალი
6. ტყვარჩელის რ-ნი IV კვარტალი
7. გალი რ-ნი III-IV კვარტალი
8. ოჩამჩირის რ-ნი II-III კვარტალი

აჭარის სტანდარტებისა და საზომი ტექნიკისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორია

1. ქ. ბათუმი წლის განმავლობაში
2. ქობულეთის რ-ნი II კვარტალი
3. ხელვაჩაურის რ-ნი III კვარტალი
4. ხულო რ-ნი IV კვარტალი
5. ქედის რ-ნი IV კვარტალი
6. შუახევის რ-ნი IV კვარტალი

ქუთაისის სტანდარტებისა და საზომი ტექნიკისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორია

1. ქ. ქუთაისი წლის განმავლობაში
2. წყალტუბოს რ-ნი I-II კვარტალი
3. ცხაკაიას რ-ნი I-II კვარტალი
4. ზესტაფონის რ-ნი I-II კვარტალი
5. წულუკიძის რ-ნი I-II კვარტალი
6. გეგეჭკორის რ-ნი II კვარტალი
7. ონის რ-ნი II კვარტალი
8. ჭიათურის რ-ნი I-II კვარტალი
9. საჩხერის რ-ნი III კვარტალი
10. ცაგერის რ-ნი II-III კვარტალი
11. ამბროლაურის რ-ნი II-III კვარტალი
12. ლენტეხის რ-ნი II კვარტალი
13. მესტიის რ-ნი III-IV კვარტალი
14. აბაშის რ-ნი III-IV კვარტალი
15. ვანის რ-ნი III კვარტალი
16. სამტრედიის რ-ნი III-IV კვარტალი
17. ორჯონიკიძის რ-ნი III კვარტალი
18. მაიაკოვსკის რ-ნი III-IV კვარტალი
19. თერჯოლის რ-ნი III კვარტალი
20. ტყიბულის რ-ნი IV კვარტალი
21. ჩხოროწყუს რ-ნი III კვარტალი

სამხრეთ ოსეთის სტანდარტებისა და საზომი ტექნიკისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორია

1. ქ. ცხინვალი წლის განმავლობაში
2. ცხინვალის რ-ნი I კვარტალი
3. ჯავის რ-ნი II კვარტალი
4. ზნაურის რ-ნი III კვარტალი
5. ლენინგორის რ-ნი IV კვარტალი

გორის განყოფილება

1. ქ. გორი I კვარტალი
2. გორის რ-ნი I კვარტალი
3. კასპის რ-ნი I კვარტალი
4. ქარელის რ-ნი I კვარტალი
5. ხაშურის რ-ნი I კვარტალი
6. ბორჯომის რ-ნი II კვარტალი
7. ახალციხის რ-ნი I კვარტალი
8. ახალქალაქის რ-ნი II კვარტალი
9. ბოგდანოვკის რ-ნი II კვარტალი
10. ახაიხის რ-ნი II კვარტალი
11. ადიგენის რ-ნი II კვარტალი

თელავის განყოფილება

1. თელავის რ-ნი II-III კვარტალი
2. ახმეტის რ-ნი III-IV კვარტალი
3. გურჯაანის რ-ნი II-III კვარტალი
4. ყვარლის რ-ნი III-IV კვარტალი
5. ლაგოდეხის რ-ნი II-III კვარტალი
6. სიღნაღის რ-ნი II კვარტალი
7. წითელწყაროს რ-ნი II კვარტალი

რუსთავის განყოფილება

1. ქ. რუსთავი წლის განმავლობაში
2. გარდაბნის რ-ნი I კვარტალი
3. მარნეულის რ-ნი I კვარტალი
4. საგარეჯოს რ-ნი II კვარტალი
5. ბოლნისის რ-ნი II კვარტალი
6. დმანისის რ-ნი III კვარტალი
7. წალკის რ-ნი IV კვარტალი
8. თეთრიწყაროს რ-ნი III კვარტალი

ფოთის განყოფილება

1. ქ. ფოთი წლის განმავლობაში
2. ზუგდიდის რ-ნი I-III კვარტალი
3. მახარაძის რ-ნი IV კვარტალი
4. ლანჩხუთის რ-ნი II კვარტალი
5. ჩოხატაურის რ-ნი II კვარტალი
6. ხობის რ-ნი II კვარტალი
7. წალენჯიხის რ-ნი I კვარტალი

საზომი საშუალებები შესამოწმებლად არ მიიღება, თუ წინასწარ არ იქნება გადახდილი სახელმწიფო შემოწმებისათვის საჭირო თანხები.

სარემონტო ორგანიზაციების და წარმოებების მუშაობის გრაფიკების შეთანხმება ხდება სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამის ლაბორატორიებსა და სახელმწიფო სტანდარტების საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოში.

ცხობები საზომ საშუალებათა შემოწმებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე შეიძლება მიიღოთ შემდეგი მისამართით:

380092 ქ. თბილისი, ჩარგალის ქ. 67. ტელ. 66-78-87, ანგარიშსწორების ანგარიში № 14004 სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში.

384500 ქ. ბათუმი, შაუმიანის ქ., 53 ტელ. 33-15, ანგარიშსწორების ანგარიში № 14046 სახბანკის აჭარის კანტორაში.

384007 ქ. ქუთაისი, გორის ქ. 97, ტელ. 6-64-12, ანგარიშსწორების ანგარიში № 14064 სახბანკის ქუთაისის კანტორაში.

384900 ქ. სოხუმი. ოქტომბრის ქ. 71/11, ტელ. 2-39-86, ანგარიშსწორების ანგარიში № 14018 სახბანკის აფხაზეთის კანტორაში.

38040, ქ. რუსთავი, თბილისის გზატკეცილი, 41, ტელ. 12-43-38, ანგარიშსწორების ანგარიში № 14021 სახბანკის რუსთავის განყოფილებაში.

383500 ქ. გორი, ძნელაძის ქ. 44, ანგარიშსწორების ანგარიში № 14010 სახბანკის გორის განყოფილებაში.

383330 თელავი, ქუთაისის შესახვევი, 7, ანგარიშსწორების ანგარიში № 14003 სახბანკის თელავის განყოფილებაში.

383570 ცხინვალი, კომაროვის ქ. № 7. სახელმწიფო ზედამხედველობის ლაბორატორია, ანგარიშსწორების ანგარიში № 14024 სახბანკის სამხრეთ ოსეთის კანტორაში.

384690 ქ. ფოთი, მშვიდობის ქ. 4, ტელ. 22-92, ანგარიში № 14074.

დოზიმეტრიული ხელსაწყოები მოწმდება შემდეგ ვადებში:

ქ. თბილისი — I კვარტალი

სოფლის მეურნეობის სამინისტრო — წლის განმავლობაში

ჰიდრომეტსამსახურის სამმართველო — წლის განმავლობაში

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები — I კვარტალი

ქალაქები ფოთი, ქუთაისი, რუსთავი — II კვარტალი.

ქ. ბათუმი — III კვარტალი.

მისამართით: 380064, ქ. თბილისი, ენგელსის ქ. 30, ტელ. 99-77-61.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა სსრ კავშირის საზომ საშუალებათა მდგომარეობისა და სახელმწიფო შემოწმებაზე მათი დროული წარმოდგენისათვის.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემიის მოსაგებად

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის პრემია. იგი მიენიჭება დოკუმენტმცოდნეობის, არქეოგრაფიის და არქეოგრაფიის დარგში შესრულებული საუკეთესო ნაშრომისათვის.

1980 წელს ნიკო ბერძენიშვილის პრემია მიენიჭება უკანასკნელი 4–5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოკვლევის, დოკუმენტური პუბლიკაციის ან მონოგრაფიისათვის.

შრომების წარმოდგენა შეუძლიათ სამეცნიერო, საარქივო და სამუზეუმო დაწესებულებებს.

საკონკურსო ნაშრომი უნდა წარმოადგინონ სამ ეცალად და დაურთონ დახასიათება, რომელიც უნდა შეიცავდეს ნაშრომის მეცნიერულ შეფასებას და განმარტავდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის.

საკონკურსო მასალები უნდა წარედგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოს 1980 წლის 1 ოქტომბრამდე.

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 1. ტელ. 37-39-25.

თბილისის № 24 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი



აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1980 წლის პირველი კვარტალისათვის

სასწავლებელი ამზადებს: რთული ასორტიმენტის მჭედველებს; მრთველებს, მკერავებს; ოსტატის თანაშემწეებს.

სასწავლებელში მიიღებიან 17-25 წლის საშუალო განათლების მქონე ქალაქელები და საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები.

სწავლის პირობები მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 70 მანეთი, ფრიადოსნებს 25 პროცენტით მეტი, გარდა ამისა, მოსწავლეები მიიღებენ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

ყველა კურსდამთავრებული პროფესიის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი. სწავლის დრო ჩაეთვლებათ მუშაობის უწყვეტ სტაჟად.

სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს უფლება აქვს ნება დართოს კურსდამთავრებულებს, რომლებსაც „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასება აქვთ ყველა საგანში და წარმატებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდებს, შეიდხენ უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილების შესაბამის სპეციალობაზე უმუშაოდ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (მათ სასწავლებელი მისცემს სპეციალურ ცნობას დამტკიცებული ნიმუშების მიხედვით, რომელიც ძალაშია სამი წლის განმავლობაში).

წარჩინებული კურსდამთავრებულები, რომლებიც დაიცავენ შეფასებას მიიღებენ გამოცდებზე, უმაღლესი სასწავლებლის საღამოს და დაუსწრებელი განყოფილების ერთ-ერთ სპეციალობებზე ჩაირიცხებიან უკონკურსოდ. სასწავლებლის ყველა მოსწავლე ჩაწერილი იქნება თბილისში.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ სასწავლებლის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), სამი ფოტოსურათი (3X4), ავტობიოგრაფია, სამხედრო ბილეთი (დემობილიზებულებისათვის).

სწავლების ვადა ერთი წელია.

სწავლა დაიწყება 1980 წლის 15 თებერვალს.

სასწავლებლის მისამართია: ა.ჟ. წერეთლის გამზირი № 134 (დიდუბე). ტელეფონი: №№ 34-09,-65, 34-14-60.

თბილისის № 120 სატრანსპორტო ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1980 წლის საათვის.

სასწავლებელი თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებისათვის ამზადებს ტროლეიბუსის მძღოლებს.

სწავლის ხანგრძლივობა — 6 თვე.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები 30 წლამდე.

სასწავლებელში ჩარიცხულთ მიეცემათ სტიპენდია 30-დან 70 მანეთამდე სპეციალობის მიხედვით, ფრიადოსნებს სტიპენდია 25 პროცენტით უზრდებათ. გარდა სტიპენდიისა მოსწავლეებს მიეცემათ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი.

მოსწავლეები, რომლებიც წარჩინებით დაამთავრებენ აღნიშნულ სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის მონათესავე სპეციალობაზე ჩარიცხებიან საკალდებულო სტაჟის გარეშე, ხოლო საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე — უკონკურსოდ.

სწავლა დაიწყება 15 თებერვალს.

განცხადებების მიღება — 14 თებერვლამდე.

სასწავლებელში ჩარიცხვა წარმოებს საკონკურსო შერჩევით.

ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზებულთ, თბილისელებს და სატრანსპორტო გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა შვილებს.

მოსწავლეები სწავლის დამთავრების შემდეგ განაწილებული იქნებიან სამუშაოდ თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებაში.

ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲓᲣᲚᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ.

თბილისის საბჭოთა კავშირის გმირის ქალაქის ბენდელიანის სახელობის № 38 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს საშუალო განათლების მქონე მოსწავლეთა მიღებას 1980 სასწავლო წლისათვის ზეინკლისა და ხარატის სპეციალობებზე (ქართული და რუსული სექტორები).

სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეებს მიეკუთვნათ სტიპენდია 80 მანეთის ოდენობით, გარდა ამისა, საწარმოო სწავლების პროცესში გამომუშავებული თანხა დადგენილი წესის მიხედვით.

სასწავლებლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ შეიდინონ ოფიციალური სასწავლებლის დღის განყოფილებებზე. ასეთი მოსწავლეებზე პედაგოგიური საბჭოს მიერ გაკეთებული რეკომენდაციის ძალაშია გაცვლის მომენტიდან 3 წლის განმავლობაში. ხოლო ის წარჩინებული კურსდამთავრებულები, რომლებიც დადებითს შეფასებს მიიღებენ მისაღებ გამოცდებზე, უმაღლესი სასწავლებლის საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებების მონათესავე სპეციალობებზე ჩაირიცხებიან უკონკურსოდ.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სასწალებლის დამთავრების შემდეგ პროფესიების



მიხედვით განაწილებიან დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში.

სწავლა იწყება 15 თებერვალს.

სწავლის ვადა ერთი წელია და ითვლება სამუშაო სტაჟად.

სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადება უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 3. დაბადების მოწმობა (დედანი); 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5. იქვსი ცალი ფოტოსურათი (3X4); 6. დახასიათება და ავტობიოგრაფია; 7. პასპორტი და მიწერის მოწმობა.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, კომკავშირის ქ. № 22 (26 კომისრის სახელობის რაიონი). ტელეფონი 74-22-91, 74-08-24. ავტობუსი 16, 51, ტრამვაი № 7.

თბილისის № 71 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი



აცხადებს საშუალო განათლების მქონე მოსწავლეთა მიღებას 1980-1981 სასწავლო წლისათვის მერქნის დამუშავების მექანიკოსის სპეციალობაზე.

სწავლის ვადა 1 წელია.

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, საერთო საცხოვრებლით, მიეცემათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 33 პროცენტი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი მთლიანად საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულებით დაკომპლექტდება, სწავლების ვადა შემოკლდება და მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია 76 მანეთის ოდენობით. სასწავლებელში ჩარიცხვა წარმოებს საკონკურსო შერჩევით.

სასწავლებელში მიღების შესახებ განცხადება უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და მიუთითოთ არჩეული პროფესია.

განცხადებას უნდა დაერთოს: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. ავტობიოგრაფია; 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 6. დახასიათება; 7. რვა ფოტოსურათი (ზომა 3X4), მიწერის მოწმობა (ან სამხედრო ბილეთი) და პასპორტი უნდა წარმოადგინოთ პირადად.

სწავლა იწყება 1 თებერვალს.

მოსწავლეთა მიღება გრძელდება.

სასწავლებლის მისამართია:

თბილისი, 380045, საჭარხნო რაიონი, მარელისის ქ. № 12 (საავეჯო კომბინატ „განთიადთან“). ტელ. 71-94-43, 71-00-80, 71-56-03. ტრამვაი: № 7, 7 ა, ავტობუსი № 10, მეტროს სადგურ „სამგორიდან“.

თბილისის კაპიტან ბუხაიძის სახელობის № 63 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს 1980 სასწავლო წლისათვის სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული ახალგაზრდების მიღებას, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო განათლების სრული კურსი.

მოსწავლეები მიიღებიან შემდეგ სპეციალობებზე: ნავთობისა და გაზის სადაზვერვო და საექსპლოატაციო ჭაბურღილების მბურღავის თანაშემწე.

სწავლა ქართულ ენაზეა და მისი ვადაა 8,5 თვე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეკუთვნათ 90 მანეთამდე სტიპენდია, გარდა ამისა, დამატებით მიიღებენ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

კურსდამთავრებულები სამუშაოდ გაიგზავნებიან საწარმოო გაერთიანება „საქნავთობში“. აქ მუშაობის დაწყებისთანავე კურსდამთავრებულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და ქ. თბილისში მუდმივი ჩაწერით.

საბუთების მიღება დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე.

სწავლა იწყება 15 თებერვალს.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. სამხედრო ბილეთი; 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; 6. 6 ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, საჭარხნო რაიონი, ლილოს დასახლება, № 63 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი.

ტრანსპორტი: მეტროს სადგურ „სამგორიდან“ ავტობუსი 14. სამარშრუტო ტაქსი 18. ტელეფონი: 73-04-90.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

31 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.00 — ამბიტურიენგთათვის — ფიზიკა, 17.30 — მუსგიპლიკაციური ფილმი, 17.40 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.10 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი“, 18.40 — ლიტერატურული გადაცემა „აქ, წინანწდალში“ (ფ.), 20.00 — **„მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“** — „ლენინის სახელით“, 20.30 — საშინაო მიმოხილვა (ფ.), 20.45 — ქართული საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ნაპირები“ („დათა თუთაშხია“), მესამე სერია. პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ახალი ამბების სპეციალური გამოშვება (ფ.).